(სსიპ) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

სტუდენტური კლუბის დაფუძნების, სერვისების მიწოდების, შეფასებისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №19 17.11.2023

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე /მ. ღარიბაშვილი/

თელავი

2023

მუხლი 1. თესაუს სტუდენტური კლუბი/კლუბები/სტუდენტური ორგანიზაციები

1.1. ეს წესი განსაზღვრავს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების (შემდგომში „სტუდენტური კლუბი/კლუბები) მიწოდების, შეფასების და დაფინანსების წესს, რომელიც ემყარება „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრინციპებს. ეს წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის პოლიტიკას სტუდენტურ სერვისებთან მიმართებაში, ადგენს სერვისის გაწევის/შეფასების და ანგარიშგების პროცედურებსა და სარეკომენდაციო ვადებს

მუხლი 2. სტუდენტური კლუბის/კლუბების/სტუდენტური ორგანიზაციების დაფუძნება /გაუქმება

2.1. კლუბის დაფუძნება შეუძლია უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე არანაკლებ 3 სტუდენტიგან შემდგარ გუნდს.

2.2. კლუბი გაუქმები გაუქმებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ კლუბს უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში არ განუხორციელებია რაიმე აქტივობა ან არ წარუდგენია პროექტი.

მუხლი 3. სტუდენტური კლუბის/კლუბების/სტუდენტური ორგანიზაციების დამფუძნებელი

3.1. კლუბის დამფუძნებელი შეიძლება იყოს მხოლოდ თესაუ-ში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

3.2. კლუბის დამფუძნებელი არ შეიძლება იყოს სხვა კლუბის დამფუძნებელი ან პრეზიდენტი.

მუხლი 4. სტუდენტური კლუბის/კლუბების/სტუდენტური ორგანიზაციების წევრი

4.1. სტუდენტური კლუბის წევრი შეიძლება იყოს თესაუ-ში აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

4.2. პირი შეიძლება იყოს ერთდროულად არაუმეტეს 4 კლუბის წევრი.

მუხლი 5. სტუდენტური სერვისების მიწოდება

5.1. უნივერსიტეტში სტუდენტური სერვისების სტუდენტებისათვის მიწოდებაზე პასუხისმგებელია სტუდენტური კლუბი/კლუბები/სტუდენტური ორგანიზაციები, რომელიც ექვემდებარება და ანგარიშვალდებულია რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე. კლუბი/კლუბები/სტუდენტური ორგანიზაციები მჭიდროდ თანამშრომლობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და ხარისხის მართვის სამსახურთან, ისევე

როგორც ფაკულტეტებთან, ხოლო მის საქმიანობას უშუალო კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის კლუბის/კლუბების/სტუდენტური ორგანიზაციების ლიდერი.

5.2. კლუბი/კლუბები/სტუდენტური ორგანიზაციები ზრუნავს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე, სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული მოიცავს ინტერნეტ ტექნოლოგიების დანერგვას, რომლის მეშვეობითაც სტუდენტებისათვის სერვისები გახდება მეტად ხელმისაწვდომი, საინტერესო და მარტივად მისაღები.

5.3. სტუდენტური კლუბი/კლუბები/სტუდენტური ორგანიზაციები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გასცემს პასუხს შეკითხვებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ კითხვასცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, ახორციელებს გადამისამართებას შესაბამის სტრუქტურულ ერთეულსა და ფაკულტეტზე.

5.4 კლუბი/კლუბები/სტუდენტური ორგანიზაციები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ადვოკატირებას სტუდენტთა პრობლემების მოგვარების პროცესში. ამისათვის კლუბი/კლუბები/სტუდენტური ორგანიზაციები თანამშრომლობს ფაკულტეტებთან და სტრუქტურულ ერთეულებთან რათა თანამშრომლობით იქნას მიღებული იმგვარი გადაწყვეტილებები, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების სწავლის და სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებას.

5.5. კლუბის/კლუბების/სტუდენტური ორგანიზაციების ინიციატივით გაიმართება საჯარო შეხვედრა კურსდამთავრებულებთან, სტუდენტების მონაწილეობით, სადაც სტუდენტები გაეცნობიან წარმატებულ კურსდამთავრებულებს და მიიღებენ მათგან პრაქტიკული სახის რჩევებს.

5.6. სტუდენტთა სახელოვნებო და შემეცნებითი ცხოვრების მხარდაჭერა: უნივერსიტეტში სახელოვნებო და შემეცნებითი აქტივობების განსახორციელებლად სტუდენტები ქმნიან ან ერთიანდებიან უკვე არსებულ კლუბში/ კლუბებში/სტუდენტურ ორგანიზაციებში.

5.7. სახელოვნებო და შემეცნებითი აქტივობებში მონაწილე სტუდენტებისათვის, წარმატებასა და პოტენციალის მხარდასაჭერად კლუბი/კლუბრბი/სტუდენტური ორგანიზაციები უზრუნველყოფს ღონისძიებების გამართვისათვის საჭირო სხვა ინფრასტრუქტურულ თუ ადამიანურ რესურსის მიწოდებას. კლუბი/სტუდენტური ორგანიზაციები ასევე ზრუნავს გამარჯვებული სტუდენტების დაჯილდოებაზე;

5.8. სტუდენტებისათვის შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება: იკლუბი/სტუდენტური ორგანიზაციები სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით ორგანიზებას უწევს შემდეგი სახის შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზებას:

5.9. ფაკულტეტები სტუდენტურ კლუბს/კლუბებს/სტუდენტური ორგანიზაციებს აწვდიან ინფორმაციას წარმატებული (მაღალქულიანი) სტუდენტების და სტიპენდიანტების შესახებ. კლუბი/სტუდენტური ორგანიზაციები ორგანიზებას უწევს მათთან შეხვედრებს, შეხვედრებისას ხდება სხვადასხვა აქტუალურ თემებზე მსჯელობა და საჯარო დისკუსიის მოწყობა, ღია ლექციების და სემინარების ჩატარება და ჯგუფური მუშაობა.

5.10. სასწავლო წლის დასაწყისში პირველი სასწავლო წლის და მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის კლუბი/სტუდენტური ორგანიზაციები აწყობს სტუდენტური ცხოვრების

ფორუმს, სადაც სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ სტუდენტური ცხოვრების ისეთ კომპონენტებს, როგორებიც არის საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობა, საკლუბო ცხოვრება, მასში მონაწილეობა და სხვა. ფორუმზე მენტორის როლს ასრულებენ უკვე გამოცდილი სტუდენტები, კლუბის/კლუბების/სტუდენტური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ დამწყებ სტუდენტებს.

6. სტუდენტური პროექტების დაფინანსება

6.1. უნივერსიტეტის მიზნების შესაბამისი სამეცნიერო, კულტურული, სპორტული პროექტების დაფინანსება ხდება უნივერსიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ფინანსური რესურსების ფარგლებში;

6.2. საპროექტო წინანდედების განხილვის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან;

6.3. უნივერსიტეტის კანცელარიაში უფლებამოსილი ლიდერის მიერ პროექტის დაფინანსების მიზნით რექტორის სახელზე წარმოდგენილ უნდა იქნას განცხადება;

6.4. პროექტის თემა თავისუფალია და დამოკიდებულია სტუდენტის არჩევანზე. პროექტი შესაძლოა გულისხმობდეს ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა:

- ტრენინგები;
- დისკუსიები;
- საჯარო ლექციები;
- გასვლითი აქტივობები;
- ფესტივალები;
- შემეცნებითი კონკურსები და სხვ.

6.5. საპროექტო განცხადება იწერება რექტორის სახელზე, რომელიც განსახილველად გადაეგზავნება მუდმივმოქმედ კომისიას.

6.6. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ხელმეორედ აფასებენ უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის გათვალისწინებით პრიორიტეტის შესაბამისად.

6.7. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროექტი წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს, შემდეგ კი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რათამოხდეს პროექტის დაფინანსება შესაბამისი პროცედურების დაცვით.

6.8. სტუდენტური პროექტების/აქტივობების შეფასების მიზნით თითოეული საბჭოს წევრის მიერ სრულად ივსება შესაბამისი შეფასების ფორმა (იხ. დანართი 1); თითოეული პროექტის შეფასების საბოლოო ქულა წარმოადგენს კომისიის თითოეული წევრის მიერ პროექტისთვის მინიჭებულ ქულათა საშუალო არითმეტიკულს;

6.9. კომისიის მიერ დაფინანსებაზე წარდგენის მიზნით განხილვას ექვემდებარება მხოლოდ ის პროექტები, რომელთა შეფასების საბოლოო ქულა არის მაქსიმალური 100 ქულიდან 51 ქულის მიღება;

6.10. საპროექტო წინადადებას კომისია განიხილავს განაცხადის წარდგენიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში და განმცხადებლისთვის გადაწყვეტილების შეტყობინება ხდება მისი მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

6.11. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ნახევარზე მეტი. კომისია გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

6.12. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არანაკლებ 3 სამუშაო დღის ვადაში წარედგინება უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

6.13. პროექტის დამტკიცების შემდეგ პროექტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კომისიის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში;

6.14. საპროექტო განაცხადს განსახილველად წარუდგენს სტუდენტური კლუბის ლიდერი. პროექტების კალენდარული წლის ბიუჯეტის ზედა ზღვარს წარმოადგენს 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი.

6.15. დამტკიცებულ პროექტების ფარგლებში შესასყიდი საქონლის და მომსახურების შესყიდვა ხორციელდება უნივერსიტეტის შესყიდვების პროცედურების თანახმად. იმ შემთხვევაში თუ პროექტის ფარგლებში მოთხოვნილი პროდუქციის და მომსახურების შესყიდვა არ საჭიროებს ტენდერის ჩატარებას (ბლოკნოტი, კალამი, სერტიფიკატი, კვება და სხვა), ასეთ შემთხვევაში მისი გაცემა ხდება საწყობიდან და ღირებულება გამოიქვითება პროექტის ღირებულებიდან. ასეთ პროდუქციაზე მოთხოვნის წარდგენა უნდა მოხდეს მიწოდების ვადამდე 10 დღით ადრე. ნებისმიერი ხარჯი, რომელიც საჭიროა პროექტის განხორციელებისათვის უშუალოდ ანაზღაურდება უნივერსიტეტის მიერ. პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესასრულებლად, შესაბამისი განაცხადი უნდა წარედგინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

6.16. პროექტის ფარგლებში ჩართული სტუდენტები პროექტზე მუშაობენ ანაზღაურების გარეშე, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა საკუთარი არსით არის მოხალისეობრივი და შესაბამისად ხარჯების დათვლისას აღნიშნული ხარჯი მხედველობაში არ მიიღება.

6.17. უნივერსიტეტი აფინანსებს ისეთ სტუდენტურ პროექტებს, რომლებშიც ჩართულები არიან მხოლოდ სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები;

7. სტუდენტური გამოკითხვების ჩატარება:

7.1 კლუბი/სტუდენტური ორგანიზაციები სემესტრის დასრულების შემდგომ ორგანიზებას უწევს სტუდენტებს შორის კვლევის ჩატარებას.

7.2. კლუბი, ხარისხის მართვის სამსახურთან თანამშრომლობით ადგენს კითხვარს, რომლითაც შეაფასებს სტუდენტური კმაყოფილების დონეს, მიაგნებს სერვისებში სუსტ და ძლიერ მხარეებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს გაუმჯობესებისათვის.

7.3. კვლევის განმახორციელებელია ხარისხის მართვის სამსახური, ხოლო მიღებული შედეგების ანალიზზე, რეკომენდაციების შემუშავებასა და ჩართულ მხარეებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელია სტუდენტური კლუბი/სტუდენტური ორგანიზაციები.

7.4. სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერა: სტუდენტური კლუბი/კლუბების/სტუდენტური ორგანიზაციები, სხვა პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად, შეიმუშავებს და ნერგავს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმებს. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული პროცედურები და შესაბამისად სტუდენტის სტატუსთან არსებული საკითხები რეგულირდება სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესით. დამატებით კლუბი განახორციელებს შემდგომ აქტივობებს:-ხელს შეუწყობს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების დასაქმებას და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობას. ამ მიზნით, მაღალქულიან სტუდენტებს, რომლებსაც არ აქვთ სწავლის საფასურის გადახდის საშუალება ხელს შეუწყობენ დასაქმებაში უნივერსიტეტის შიგნით და/გარეთ, ორგანიზაციებში.-უზრუნველყოფს კომუნიკაციას დამსაქმებლებთან, რათა მათ მიაწოდოს ასეთი სტუდენტების შესახებ ინფორმაცია და ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას და პროექტებში მონაწილეობას.

7.5. სტუდენტური კლუბი/კლუბები/სტუდენტური ორგანიზაციები ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდგომ ადმინისტრაციის უფროსს განსახილველად წარუდგენს ანგარიშს წლის მანძილზე გაწეული სერვისების, პროცესში წარმოშობილი წინააღმდეგობების და მათი გადაჭრის გზების შესახებ. ანგარიში უნდა მოიცავდეს როგორც რაოდენობრივ ასევე ხარისხობრივ მონაცემებს და უნდა ხდებოდეს მათი ანალიზი და შედარება წინა პერიოდთან. განხილვის შედეგები (მიგნებები, რეკომენდაციები) გათვალისწინებული უნდა იქნას მომდევნო პერიოდის დაგეგმვისთვის.

8. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

8.1. თესაუს სტუდენტური კლუბის დაფუძნების, სერვისების მიწოდების, შეფასებისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესში ცვლილებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე **მანანა ღარიბაშვილი**